

## მე-5 კლასი

მეხუთე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 4 სავარჯიშო და 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35.

### სავარჯიშო 1. არსებითი სახელი და მისი ჯგუფები

მოსწავლემ უნდა შეძლოს არსებითი სახელის ამოცნობა და მისი კატეგორიების გარჩევა: „ვინ?“ და „რა?“ კითხვების სწორად დასმა, ასევე სულიერი და უსულო სახელების გამორკვევა.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:

რამდენ სიტყვას შეიძლება დაესვას კითხვა „ვინ?“ შემდეგ წინადადებაში:

„ტყეში მონადირე და მისი ძაღლი სეირნობდნენ.“?

ა) ერთს      ბ) ორს      გ) სამს

### სავარჯიშო 2. ნაცვალსახელები

მოსწავლე უნდა ამოიცნოს და გამოიყენოს პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები სწორად პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:

რომელ წინადადებაშია გამოყენებული პირველი პირის ნაცვალსახელი?

ა) ნინიმ წაიღო რვეული      ბ) მე სკოლაში დავდივარ      გ) ბავშვები გაკვეთილზე იყვნენ

### სავარჯიშო 3. მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

მოსწავლე უნდა ამოიცნოს სიტყვების მნიშვნელობის მსგავსება ან წინააღმდეგობა შესაბამის კონტექსტში.

სავარჯიშო 20 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 4.

მაგალითი:

რომელია ხაზგასმულის სასაპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა? „მასწავლებელმა მოწესრიგებული მოსწავლე შეაქო.“

ა) უწესრიგო      ბ) მოწყვეტილი      გ) გულუბრყვილო

#### სავარჯიშო 4. ზმნა და ზმნის დრო

მოსწავლემ უნდა შეძლოს ზმნის სწორად გამოყენება, მოქმედების დროის გარჩევა და შესაბამისი ფორმის შერჩევა.

სავარჯიშო 20 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 4.

მაგალითი:

შეავსეთ წინადადება ზმნის სწორი ფორმით: „ჩვენი კლასელი გუშინ სადამოს სკოლაში...“

ა) დარჩები    ბ) დარჩა    გ) დარჩეს

#### სავარჯიშო 5. ტექსტის გააზრება

აღნიშნული სავარჯიშო მცირე, მარტივი ტექსტის აღქმის, ანალიზისა და გააზრების უნარს ამოწმებს.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა და გააზრება, მთავარი აზრის გამოკვეთა, დეტალებზე დაკვირვება და სხვა.

სავარჯიშო შედგება 10 საკითხისგან, თითოეული ფასდება 4 ქულით, ჯამში — 40 ქულა.

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 5 ქულიანს.

ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები ანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები.

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.